საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№5 / 2010

# მუნიციპალიტეტებში სტრატეგიული განვითარების გეგმებზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტის – ,,ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“ ფარგლებში აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელებთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს კავშირ „ინტელექტსა“ და პარტნიორ მუნიციპალიტეტებს შორის.

თამაზ ლორთქიფანიძე

მერაბ ჯინჭარაძე

პროექტით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მემორანდუმში გათვალისწინებული პუნქტების საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთობლივი სამუშაო ჯგუფები კავშირ „ინტელექტის“ ექსპერტების, სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და გამგეობების სამსახურების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით (სამიზნე მუნიციპალიტეტებმა სამუშაო ჯგუფებში თავიანთი წარმომადგენლები თავად შეარჩიეს).

ერთობლივმა სამუშაო ჯგუფებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების, მუნიციპალიტეტების პასპორტებისა და საინვესტიციო პასპორტების შემუშავებაში, აგრეთვე უნდა უზრუნველყონ პროექტით გათვალისწინებული სხვა საქმიანობების წარმართვა სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველ ორგანოებთან ერთად და პროექტის ამოცანებთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეათანხმონ საკრებულოსა და გამგეობის სტრუქტურებთან და „ინტელექტის“ გამგეობასთან.

ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ ჩამოყალიბდა ხუთი ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. თითოეული ჯგუფი შედგება ექვსი წევრისგან: ორ-ორი წამყვანი სპეციალისტი გამგეობებიდან და საკრებულოებიდან და ორი ექსპერტი კავშირ „ინტელექტიდან“ (გარდა ქედის მუნიციპალიტეტისა, სადაც რვა წევრი იქნება, რადგან გამგეობამ და საკრებულომ სურვილი გამოთქვეს, ერთობლივ სამუშაო ჯგუფში სამ-სამი წარმომადგენელი ჰყოლოდათ).

ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედმა სამუშაო ჯგუფებმა კონკრეტული საქმიანობები წევრებს შორის კომპეტენციებისა და შესაძლებლობების მიხედვით გადაანაწილეს. უკვე შემუშავებულია ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც მათი შეხვედრები აქტიურად მიმდინარეობს ყველა მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტებთან პროექტის კოალიციურად განხორციელების საკითხი სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეაფასეს:

**მერაბ ჯინჭარაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი:** „არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვფიქრობ, ერთობლივად უფრო მეტი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი, რადგან მათი მხრიდან საინტერესო და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის სასარგებლო წინადადებები მოდის. საჯარო მოხელეები იმდენად ვართ დაკავებული შიდა საქმიანობებით, რომ შეიძლება დეტალურად ვერ ვხედავდეთ პრობლემებს, გარე თვალით კი პრობლემები უფრო ნათლად ჩანს. მე პირადად ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრი ვარ და ვაპირებ აქტიური მონაწილეობა მივიღო პროექტის განხორციელებაში“.

ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრია **ხელვაჩაურის საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ ლორთქიფანიძეც**, მისი თქმით „ინტელექტის“ წამოწყება დროულია, რადგან „ადრე თუ გვიან უნდა შემუშავებულიყო მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, საინვესტიციო პასპორტი და მუნიციპალიტეტის პასპორტი. პროექტის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტისათვის, მსგავსი პროექტი საჭიროა არა მარტო აჭარის რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პროექტში გამგეობისა და საკრებულოს ქვედანაყოფებიც ვართ ჩართული და ერთობლივად ვაკეთებთ სტრატეგიული განვითარების გეგმებს. როცა ინვესტორი შემოდის და ეძებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და მას ხვდება წინასწარ გამზადებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, საინვესტიციო პასპორტი უკვე წინგადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ვფიქრობ, ეტაპობრივად შესაძლებელია. ამ დროისთვის მთავარია წინ წავიწიოთ თუნდაც ერთი ნაბიჯით. მე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში გვერდში დავუდგები ერთობლივ სამუშაო ჯგუფს“.

## ერთობლივი სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები

**ხულოს მუნიციპალიტეტი:**

**ემზარ აბულაძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**ირაკლი ჯორბენაძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

**გივი ქედელიძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

**ნოდარ კოჩალიძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

**შუახევის მუნიციპალიტეტი:**

**ომარ აბუსელიძე,** შუახევის საკრებულოს აპარატის უფროსი;

მირიან აბაშიძე, შუახევის საკრებულოს აპარატის მთავარი პეციალისტი–იურისტი;

**ჯიმშერ აბაშიძე,** შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ და საკადრო საკითხთა განყოფილების უფროსი;

**ჯემალ ამაღლობელი,** შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეკონომიკური დაგეგმარების საკითხებში.

**ქედის მუნიციპალიტეტი:**

**მამუკა დიასამიძე,** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

**შორენა შერვაშიძე,** ქედის მუნიციპალიტეტის საკრბულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**შოთა ბერიძე,** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**ჯემალ ტაკიძე,** ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი;

**სულიკო ბოლქვაძე,** ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

**ჯუმბერ ბეჟანიძე,** ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი:**

თამაზ ლორთქიფანიძე, ხელვაჩაურის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**დავით კოპინაძე,** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;

**ენვერ ასამბაძე,** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

**მერაბ გვიანიძე,** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის, ბიუჯეტის განყოფილების უფროსი.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი:**

**სულხან მოწყობილი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

**მერაბ ცინცაბაძე,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;

**მერაბ ჯინჭარაძე,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

**ავთანდილ რომანაძე,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

# მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი აზრის გასაგებად გამოკითხვა მიმდინარეობს

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ 2010 წლის თებერვლიდან ახორციელებს პროექტს – „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“, რომლის მთავარი მიზანია, აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მიზნობრივად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა მუნიციპალიტეტების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. (სტრატეგიული დაგეგმვის არსი და მისი მნიშვნელობა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის იხილეთ ჩვენი ჩანართის პირველ და მეორე ნომრებში.)**

არსებობს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების სამი ძირითადი მეთოდი:

**1. ადმინისტრაციულ-ტექნოკრატიული,** რომელსაც შეიძლება ეწოდოს „კაბინეტური“, რადგანაც ის იწერება „კაბინეტში“ და გამოხატავს მხოლოდ „ჩინოვნიკურ“ ხედვას მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. ამ მეთოდის გამოყენების დროს საზოგადოების აზრი სრულიად იგნორირებულია და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში რაიმე სახით მისი ჩართულობა ნულამდეა დაყვანილი.

**2. დემოკრატიული მეთოდი** – ადმინისტრაციულ-ტექნოკრატიული მეთოდის საპირისპიროა, სადაც ამმავალ წერტილს წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრი. სტატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას ამ მეთოდის გამოყენების დროს გათვალისწინებულია მოსახლეობის, თვითმმართველობის ორგანოების სპეციალისტების, ბიზნესსექტორის წარმომადგენლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების აზრი.

**3. პრაგმატული** – მას შეგვიძლია ვუწოდოთ ზემოხსენებული მეთოდების შერეული ვარიანტი. მისი გამოყენების დროს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები, ასევე პროფესიონალთა ჯგუფიც, რომლებიც ბიზნესსექტორთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად თანხმდებიან სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებზე, ამოცანებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ გადაწყვიტა აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავებისათვის გამოიყენოს დემოკრატიული მეთოდი. რადგან, როგორც „ინტელექტის“ ექსპერტები მიიჩნევენ, მხოლოდ ამ მეთოდის გამოყენების შედეგადაა შესაძლებელი მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაციის სრულყოფილი სურათის მიღება. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტებში ჩატარდეს მოსახლეობის, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისა და სპეციალისტების გამოკითხვა, რის საფუძველზეც განხორციელდება შედარებითი და სტატისტიკური ანალიზი.

ზემოაღნიშნულ სამუშაოებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ყველა მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფებთან ერთად განახორციელებს.

პირველ რიგში გამოიკითხება მოსახლეობის ყველა ფენა. ანკეტირების დროს გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის სქესი, ასაკი, განათლება, საქმიანობის სფერო და სოციალური სტატუსი. ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში სულ გამოიკითხება 5 150 რესპონდენტი. მათ შორის:

ხულოს მუნიციპალიტეტში – 940 რესპონდენტი; შუახევის მუნიციპალიტეტში – 620; ქედში – 590; ხელვაჩაურში – 1480, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 1520 რესპონდენტი.

ინფრასტრუქტურული პრობლემები, სპეციალისტების გადამზადება, სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო დასნებულებების პრობლემატიკა, სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების პრობლემა, ბიზნესის, ტურიზმის, სამომხმარებლო კრედიტებისა და სხვა პრობლემათა კვლევა და პრიორიტეტიზაცია, აგრეთვე მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრის გზები – იმ საკითხთა მცირედენი ჩამონათვალია, რომლებზეც პასუხის გაცემა მოუწევს სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას.

მოსახლეობის გამოკითხვის შემდეგ ანკეტირებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სპეციალისტები.

სამიზნე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რომელი პროდუქცია/მომსახურება სარგებლობს მაღალი მოთხოვნით, რომელი პროდუქციის/მომსახურების წარმოებაში ხედავენ უპირატესობას სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტში წარმოებულმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს იმპორტირებულ პროდუქციას, სამიზნე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რომელი ეკონომიკური დარგები განიცდიან დაცემას და რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად და პირიქით, რა დარგები განიცდიან წინსვლას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რა რესურების ათვისებაა შესაძლებელი, ახალი საქმის წამოსაწყებად ან ძველის გასაუმჯობესებლად რა სახის დახმარება ესაჭიროებათ, რა გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა მათ ბიზნესზე, როგორი შეიძლება იყოს ბიზნესსექტორის წვლილი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად – ეს იმ კითხვათა ნაწილია, რომლებზეც პასუხი აქვთ გასაცემი ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედ ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს.

ხოლო რაც შეეხება თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სპეციალისტებს, მათ ანკეტირების დროს შემდეგი სახის კითხვებზე მოუწევთ პასუხის გაცემა: რა სახის მხარდაჭერა ესაჭიროება მუნიციპალიტეტს ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლებისაგან ეკონომიკური, სოციალური და ბიზნესის სფეროების გასაუმჯობესებლად, რა უფლებების დელეგირება მიაჩნიათ მიზანშეწონილად, რა შიდა რეზერვებითაა შესაძლებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ზრდა, წარმოების რომელი დარგების მიმართაა აუცილებელი საგადასახადო შეღავათების დანესება, რა გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ინფრასტრუქტურა, რა სპეციალობებისა და მიმართულების მიხედვითაა გადასამზადებელი/მოსამზადებელი სპეციალისტები, რა უნდა გაკეთდეს ჯანდაცვისა და განათლების სისტემების სრულყოფისათვის, რომელი საყოფაცხოვრები და კულტურული მომსახურების საწარმოების უკმარისობაა მუნიციპალიტეტში და სხვა. საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლებს აგრეთვე მოუწევთ ხუთი-ექვსი პრიორიტეტული მიმართულების დასახელება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

დღეისათვის მოსახლეობის ანკეტირება უკვე მიმდინარეობს ხუთივე მუნიციპალიტეტში, უახლოეს მომავალში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ დაგეგმილი აქვს ბიზნესსექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სპეციალისტთა გამოკითხვა.

## „ინტელექტი“ მუნიციპალიტეტებისათვის საინფორმაციო პორტალებს შექმნის

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტისათვის საინფორმაციო პორტალებს შექმნის.**

**www.khulo.ge, www.shuakhevi.ge** და **www.keda.ge** _ ის ახალი მისამართებია, რომლებზეც აღნიშნული მუნიციპალიტეტებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება, ხოლო რაც შეეხება ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ინტერნეტსაიტებს: **www.khelvachauri.ge** - სა და **www.kobuletimunicipality.ge** - ს, მათში ცვლილებების შეტანა და დახვეწა „ინტელექტის“ დახმარებით მოხდება.

**დღეისათვის ინტერნეტი წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. ინტერნეტსაიტების შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების საკითხებში. საინფორმაციო პორტალებზე განთავსდება დეტალური ინფორმაცია სამიზნე მუნიციპალიტეტების შესახებ, იქნება ეს საინვესტიციო პასპორტები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები, ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ, მუნიციპალიტეტების სიახლეები, ნორმატიული აქტები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თუ სხვა სასარგებლო ინფორმაცია.**

**საინფორმაციო პორტალების შექმნა საშუალებას მისცემს ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა სტრუქტურებს, მიზანმიმართულად გაავრცელონ ინფორმაცია თავიანთი მუნიციპალიტეტების შესახებ პოტენციური ინვესტორებისათვის, ტურისტებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის. აგრეთვე ინტერნეტსაიტები კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა გახადონ უფრო გამჭვირვალე.**

**საიტებზე ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე იქნება განთავსებული.**


საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში



საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge